საქართველო

000000-00-0-000000000000

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ _____
__/__/____

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს,
ბატონ **ზაზა სოფრომაძეს**

ბატონო ზაზა,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 20-23 იანვარს გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი კობახიძის ოფიციალური ვიზიტი უზბეკეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში შედგა ბატონი კობახიძის შეხვედრა უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან, ბატონ აბდულა არიპოვთან. უზბეკეთის მხარემ, წამოაყენა არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით.

უზბეკეთის მზარე გვთავაზობს საქართველოში სამთავრობო დელეგაციის (სია თან ერთვის) ვიზიტს 2018 წლის თებერვალში, კონკრეტული საკითხების განსახილველად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაიმართოს საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი კონსულტაციები ვიზიტის მოსამზადებლად (მ.წ. თებერვლის პირველ ნახევარში) და დელეგაციის შემადგენლობის მიხედვით, განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყებები.

დანართი: 2

პატივისცემით,
გიორგი შარვაშიძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge